

მე-7 კლასი

ძირითადი დავალებები (100 ქულა)

შედარება (20 ქულა)

- x, y, z ნატურალური რიცხვებიდან რომელია უმცირესი, თუ $2x = y - z$, $3z = 2x$?
A) y B) z C) x
- m, n, k დადებითი რიცხვები დაალაგეთ ზრდის მიხედვით, თუ $\frac{m}{n} > k$ და $\frac{k-n}{k+n} < 0$
A) $n < k < m$ B) $k < m < n$ C) $k < n < m$

ალგებრა (20 ქულა)

- რამდენი ლუწი გამყოფი აქვს 40-ს? (5 ქულა)
A) 10 B) 6 C) 8
- ოლიმპიადის 40 000 მონაწილიდან 60% ბიჭი იყო. გოგოებიდან 4000 ვერ გადავიდა მეორე ტურში. გოგონების რამდენი პროცენტი გადავიდა მეორე ტურში? (5 ქულა)
A) 75% B) 72% C) 66%
- სამი მომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამი 84-ის ტოლია. იპოვეთ მათ შორის უდიდესი. (10 ქულა)
A) 28 B) 29 C) 30

გეომეტრია (30 ქულა)

- სამკუთხედის პერიმეტრი 32-ის ტოლია. ჩამოთვლილთაგან რისი ტოლი შეიძლება იყოს უდიდესი გვერდი?
A) 10 B) 14 C) 18
- რამდენი ისეთი ტოლფერდა სამკუთხედი არსებობს, რომლის ერთი კუთხე მეორეზე 87° -ით მეტია?
A) არც ერთი B) ერთი C) ორი
- ACB სამკუთხედში $\angle C = 90^\circ$, $\angle A = 30^\circ$, CH სიმაღლეა, CE ბისექტრისა. იპოვეთ $\angle HCE$
A) 15° B) 25° C) 30°

ლოგიკა (30 ქულა)

- მწკრივში ამოწერილია რიცხვები 1-დან 5-ის ჩათვლით. ერთ სვლაზე ნებისმიერ ორ რიცხვს შეგვიძლია შევუცვალოთ ადგილი. სულ მცირე რამდენი ასეთი სვლაა საჭირო იმისთვის, რომ არც ერთი ორი მეზობელი რიცხვი გვერდიგვერდ არ იდგეს?
A) 1 B) 2 C) 3
- თუ ვაჭარი სამ კალამს ლარად გაყიდის, იმდენივე რჩება მოგება, რამდენიც დარჩება, თუ ორ კალამს გაყიდის 80 თეთრად. რა რჩება მოგება?
A) 20თ B) 40თ C) 45თ

